საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-16
2016 წლის 2 თებერვალი

ქ. თბილისი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის წარმოების თანდართული წესი.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 15 აპრილიდან.

სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ დანელია**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის წარმოების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს წესი არეგულირებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის წარმოებასთან, მონაცემების შეტანასა და განახლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2. წევრთა რეესტრი

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრი (შემდგომ – რეესტრი) წარმოადგენს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრთა მონაცემების ერთიანი აღრიცხვის მიზნით შექმნილ მეპაიეთა და ასოცირებულ/ინვესტორ წევრთა მონაცემების ბაზას.
2. რეესტრი შედგება ორი ნაწილისგან: მეპაიეთა რეესტრი და ასოცირებულ/ინვესტორ წევრთა რეესტრი.

3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის რეესტრის გადაცემას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო (შემდგომ – სააგენტო).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის ბრძანება №2-142 - ვებგვერდი, 20.02.2020წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 16 თებერვლის ბრძანება №2-63 - ვებგვერდი, 17.02.2023წ.

მუხლი 3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის რეესტრის წარმოების წესი

1. რეესტრს აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი (შემდგომ – კოოპერატივი) და მოიცავს ინფორმაციას როგორც მეპაიეთა, ასევე ასოცირებულ/ინვესტორ წევრებთან დაკავშირებით.
2. რეესტრი უნდა იყოს სააგენტოს მიერ აკინძული, დანომრილი, დამოწმებული და უნდა შედგებოდეს თითოეული წევრისათვის განკუთვნილი დამოუკიდებელი გვერდისაგან.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 16 თებერვლის ბრძანება №2-63 - ვებგვერდი, 17.02.2023წ.

მუხლი 4. რეესტრში შესატანი ინფორმაცია

1. რეესტრში მეპაიესა და ასოცირებული/ინვესტორი წევრის შესახებ ინფორმაცია შეიტანება (დანართი №1) თანდართული ფორმის მიხედვით.
2. რეესტრში (ცხრილი №1) აისახება:

ა) მეპაიის სახელი, გვარი (იურიდიული პირის შემთხვევაში დასახელება), პირადი ნომერი

(საიდენტიფიკაციო კოდი), მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) მინიმალური (ერთი) პაის ღირებულება (გრაფა 1) - კოოპერატივის საერთო კრების მიერ დადგენილი, ეროვნულ ვალუტაში გამოხატული ერთი პაის ღირებულება;

გ) პაის რაოდენობა (გრაფა 2) – თითოეული მეპაიისათვის მისი ეკონომიკური მონაწილეობის პროპორციულად განსაზღვრული პაის რაოდენობა, რომელიც გამოხატულია ერთეულებში (მაგ., პაის რაოდენობა: 1 პაი, 1,1 პაი, 1,2 პაი და ა.შ.);

დ) პაის სახე: ფული (ლარი) (გრაფა 3) - მეპაიის მიერ საპაიო ფონდში განხორციელებული, ეროვნულ ვალუტაში გამოხატული ფულადი შენატანის ოდენობა;

ე) (ამოღებულია - 16.02.2023, №2-63);

ვ) შენატანის თარიღი/ხელმოწერა (გრაფა 4) - მესამე გრაფაში მითითებული პაის შეტანის თარიღი, რომელიც დასტურდება მეპაის ხელმოწერით;

ზ) დამატებითი შენატანის სახე (ლარი) (გრაფა 5);

თ) შეტანის თარიღი/ხელმოწერა (გრაფა 6) – მეხუთე გრაფაში მითითებული დამატებითი შენატანის შეტანის თარიღი, რომელიც დასტურდება მეპაიის ხელმოწერით;

ი) რეესტრის მწარმოებელი პირის ხელმოწერა/თარიღი (გრაფა 7) - კოოპერატივის წესდებით განსაზღვრული რეესტრის წარმოებაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და თარიღი.

3. რეესტრში (ცხრილი №2) აისახება:

ა) ასოცირებული/ინვესტორი წევრის სახელი, გვარი, (იურიდიული პირის შემთხვევაში დასახელება), პირადი ნომერი (საიდენტიფიკაციო კოდი), მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის რაოდენობა (გრაფა 1) - კოოპერატივის საჭიროებიდან გამომდინარე საერთო კრების მიერ განსაზღვრული ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის რაოდენობა ფულით ან ფულად ღირებულებაში გამოხატული ქონებით;

გ) ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის სახე: ფული (ლარი) (გრაფა 2) - ასოცირებული/ინვესტორი წევრის მიერ საპაიო ფონდში განხორციელებული, ეროვნულ ვალუტაში გამოხატული ფულადი შენატანი;

დ) ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის სახე: ქონება. დასახელება/ღირებულება (ლარი) (გრაფა 3) - ასოცირებული/ინვესტორი წევრის მიერ საპაიო ფონდში შეტანილი ქონების სახე და მისი ფულად ერთეულში გამოხატული (ლარი) ღირებულება;

ე) შენატანის თარიღი/ხელმოწერა (გრაფა 4) - მეორე ან/და მესამე გრაფაში მითითებული ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის შეტანის თარიღი, რომელიც დასტურდება ასოცირებული/ინვესტორი წევრის ხელმოწერით;

ვ) რეესტრის მწარმოებელი პირის ხელმოწერა/თარიღი (გრაფა 5) - კოოპერატივის წესდებით განსაზღვრული რეესტრის წარმოებაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და თარიღი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის ბრძანება №2-142 - ვებგვერდი, 20.02.2020წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 16 თებერვლის ბრძანება №2-63 - ვებგვერდი, 17.02.2023წ.

მუხლი 5. რეესტრის წარმოებაზე უფლებამოსილი პირი

1. რეესტრის წარმოებას, განახლებას და მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს შესაბამისი კოოპერატივის გამგეობის/დირექტორატის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.
2. რეესტრში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა დასტურდება შესაბამისი წევრის და რეესტრის მწარმოებელი პირის ხელმოწერით.

მუხლი 6. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

კოოპერატივის წევრი და სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაეცნოს რეესტრის მონაცემებს.

მუხლი 7. რეესტრში არსებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა

რეესტრში ცვლილების შეტანა ხდება შესაბამისი კოოპერატივის უფლებამოსილი პირის მიერ, შესაბამისი ცვლილების დადგომისთანავე, მაგრამ არაუმეტეს ერთი კვირისა.

დანართი №1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის ბრძანება №2-142 - ვებგვერდი, 20.02.2020წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 16 თებერვლის ბრძანება №2-63 - ვებგვერდი, 17.02.2023წ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრი

ცხრილი №1

მეპაიის სახელი და გვარი (იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება)

პირადი ნომერი (საიდენტიფიკაციო კოდი)

მისამართი:_____ ტელეფონი: _____ ელ. ფოსტა:

მინიმალური (ერთი) პაის ღირებულება	პაის რაოდენობა	პაის სახე: ფული (ლარი)	შეტანის თარიღი/ ხელმოწერა	დამატებითი შენატანის სახე (ლარი)	შეტანის თარიღი/ ხელმოწერა	რეესტრის მწარმოებელი პირის ხელმოწერა/თარიღი
1	2	3	4	5	6	7

ცხრილი №2

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრი

ასოცირებული წევრის სახელი, გვარი (იურიდიული პირის შემთხვევაში დასახელება)

პირადი ნომერი (საიდენტიფიკაციო კოდი)

მისამართი:_____ ტელეფონი: _____ ელ. ფოსტა:

ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის ოდენობა	ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის სახე: ფული (ლარი)	ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის სახე: ქონება. დასახელება, /ღირებულება/(ლარი)	შეტანის თარიღი/ ხელმოწერა	რეესტრის მწარმოებელი პირის ხელმოწერა/თარიღი
1	2	3	4	5